

შპს „ზღაპარი“

ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2025

შპს „ზღაპარი“

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
4. ძირითადი საშუალებები	17
5. გამოყენების უფლების მქონე აქტივები	18
6. ფული და ფულის ექვივალენტები	18
7. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	18
8. გადახდილი ავანსები	19
9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	19
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
11. მიღებული სესხები	19
12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	20
13. შემოსავალი	20
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20
15. მიწოდების ხარჯები	20
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
17. სხვა საოპერაციო ხარჯები	21
18. ფინანსური ხარჯები	21
19. რისკების მართვა	22
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან	24
21. გაუთვალისწინებელი გარემოებები	25
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25
23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	26
საქმიანობის მიმოხილვა	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზღაპარი“-ს მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ზღაპარი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი – 205222953) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2024 წლის 12 ნოემბერს გასცა უპირობო მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება.

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას. 3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ პირველი ზომითი კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას

მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს ფი-ქეი-ეფ ჯორჯია-ს სახელით ფირმის რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-798362.

თბილისი, საქართველო

10 ოქტომბერი, 2025 წელი



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზღაპარი“-ს მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ზღაპარი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი – 205222953) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2024 წლის 12 ნოემბერს გასცა უპირობო მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება.

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას. 3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ პირველი ზომითი კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას

მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დაგვეგმოდნენ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვათაგან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს ფი-ქეი-ეფ ჯორჯია-ს სახელით ფირმის რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-798362.

თბილისი, საქართველო

10 ოქტომბერი, 2025 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	1,188,385	2,076,349
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,805,170	1,578,787
გადახდილი ავანსები	8	687,262	742,796
მარაგები	9	9,611,041	11,298,184
სხვა მიმდინარე აქტივები		302,669	152,466
სულ მიმდინარე აქტივები		13,594,527	15,848,582
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,039,314	5,752,917
არამატერიალური აქტივები		219,659	249,408
გამოყენების უფლების მქონე აქტივები	5	24,423,298	5,019,965
სულ გრძელვადიანი აქტივები		29,682,271	11,022,289
სულ აქტივები		43,276,798	26,870,871
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	21,119,020	21,615,021
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	11	3,254,814	1,408,344
გადასახდელი გადასახადები		171,843	161,666
გადასახდელი პროცენტები		34,666	10,865
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	829,649	634,006
მიმდინარე ვალდებულებები სულ		25,409,992	23,829,903
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	11	2,795,587	1,652,403
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		23,804,349	4,961,453
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		26,599,936	6,613,856
სულ ვალდებულებები		52,009,928	30,443,759
კაპიტალი			
გაუნაწილებელი ზარალი		(8,733,130)	(3,572,888)
სულ კაპიტალი		(8,733,130)	(3,572,888)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		43,276,798	26,870,871

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-35 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 10 ოქტომბერი.

თამარ უდესიანი
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	1,188,385	2,076,349
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,805,170	1,578,787
გადახდილი ავანსები	8	687,262	742,796
მარაგები	9	9,611,041	11,298,184
სხვა მიმდინარე აქტივები		302,669	152,466
სულ მიმდინარე აქტივები		13,594,527	15,848,582
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,039,314	5,752,917
არამატერიალური აქტივები		219,659	249,408
გამოყენების უფლების მქონე აქტივები	5	24,423,298	5,019,965
სულ გრძელვადიანი აქტივები		29,682,271	11,022,289
სულ აქტივები		43,276,798	26,870,871
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	21,119,020	21,615,021
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	11	3,254,814	1,408,344
გადასახდელი გადასახადები		171,843	161,666
გადასახდელი პროცენტები		34,666	10,865
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	829,649	634,006
მიმდინარე ვალდებულებები სულ		25,409,992	23,829,903
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	11	2,795,587	1,652,403
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		23,804,349	4,961,453
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		26,599,936	6,613,856
სულ ვალდებულებები		52,009,928	30,443,759
კაპიტალი			
გაუნაწილებელი ზარალი		(8,733,130)	(3,572,888)
სულ კაპიტალი		(8,733,130)	(3,572,888)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		43,276,798	26,870,871

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-35 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 10 ოქტომბერი.

თამარ უდესიანი

დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

		2024	2023
	შენიშვნა		
შემოსავალი	13	99,954,694	113,124,170
რეალიზებული საქონლის ღირებულება	14	(77,220,945)	(88,211,417)
საერთო მოგება		22,733,749	24,912,754
მიწოდების ხარჯები	15	(19,631,271)	(21,916,471)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,608,802)	(2,387,259)
სხვა საოპერაციო ხარჯები	17	(2,784,188)	(2,823,684)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		(2,290,512)	(2,214,660)
ფინანსური შემოსავალი		21,985	34,074
ფინანსური ხარჯები	18	(2,669,485)	(805,669)
მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(865)	(217,110)
სხვა არასაოპერაციო მოგება ზარალი		(221,365)	(407,031)
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან		(2,869,730)	(1,395,736)
ზარალი დაბეგვრამდე		(5,160,242)	(3,610,397)
ზარალი დაბეგვრის შემდეგ		(5,160,242)	(3,610,397)
სულ საანგარიშო პერიოდის ზარალი		(5,160,242)	(3,610,397)

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-35 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 10 ოქტომბერი.

თამარ უდესიანი

დირექტორი


მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

		2024	2023
	შენიშვნა		
შემოსავალი	13	99,954,694	113,124,170
რეალიზებული საქონლის ღირებულება	14	(77,220,945)	(88,211,417)
საერთო მოგება		22,733,749	24,912,754
მიწოდების ხარჯები	15	(19,631,271)	(21,916,471)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,608,802)	(2,387,259)
სხვა საოპერაციო ხარჯები	17	(2,784,188)	(2,823,684)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		(2,290,512)	(2,214,660)
ფინანსური შემოსავალი		21,985	34,074
ფინანსური ხარჯები	18	(2,669,485)	(805,669)
მოგება / (ზარალი) საკუროს სხვაობიდან		(865)	(217,110)
სხვა არასაოპერაციო მოგება ზარალი		(221,365)	(407,031)
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან		(2,869,730)	(1,395,736)
ზარალი დაბეგვრამდე		(5,160,242)	(3,610,397)
ზარალი დაბეგვრის შემდეგ		(5,160,242)	(3,610,397)
სულ საანგარიშო პერიოდის ზარალი		(5,160,242)	(3,610,397)

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-35 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 10 ოქტომბერი.



თამარ უდესიანი

დირექტორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2022	37,509	37,509
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	(3,610,397)	(3,610,397)
წლის მთლიანი სრული ზარალი	(3,610,397)	(3,610,397)
31.12.2023	(3,572,888)	(3,572,888)
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	(5,160,242)	(5,160,242)
წლის მთლიანი სრული ზარალი	(5,160,242)	(5,160,242)
31.12.2024	(8,733,130)	(8,733,130)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	145,447,277	136,895,072
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	48,109
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(122,068,720)	(111,776,174)
საიჯარო ქირა საოპერაციო საქმიანობიდან	(1,151,452)	(4,615,661)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(13,370,840)	(11,035,378)
გადახდილი ტერმინალის ხარჯები	(614,109)	(656,953)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(920,619)	68,186
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(6,524,220)	(5,945,231)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(220,032)	(198,884)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	577,285	2,783,086
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(806,066)	(1,888,042)
მიღებული პროცენტები	-	34,064
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(806,066)	(1,853,977)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
საიჯარო ქირა საფინანსო საქმიანობიდან	(1,151,452)	(917,110)
სესხების აღება	2,379,239	1,627,735
სესხების დაფარვა	(1,610,779)	(1,243,964)
გადახდილი პროცენტები	(259,088)	(139,627)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(642,080)	(672,967)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(17,103)	(36,959)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(887,964)	219,183
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის:	2,076,349	1,857,166
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსათვის:	1,188,385	2,076,349

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზღაპარი“ (ს/კოდი 205222953) დაარსდა 2007 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. #2. სათაო ოფისი მდებარეობს გარდაბნის რაიონი სოფ. წალასყური.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის ფლობენ:

- (01026005646) კონსტანტინე გელაშვილი - 26.67%
- (01015021395) ზურაბი არსენიძე, - 18.33%
- (01092001681) უზეირ ოზერ, /თურქეთი/ - 12.50%
- (01015015877) ლევანი ფიჩხაია, - 12.50%
- (01005002273) ნუნუ ლეჟავა - 3.33%
- (01016000857) გია არსენიძე - 26.67%

კომპანიის დირექტორი: თამარ უდესიანი (62004007193)

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო და საბითუმო ვაჭრობა, როგორც საკვები და სასმელი პროდუქტებით, ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და პირველადი მოხმარების პროდუქტებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2024	2.8068	2.9306
31-დეკ-2023	2.6894	2.9753
საშუალო კურსი 2024	2.7208	2.9440
საშუალო კურსი 2023	2.6279	2.8416

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალსე ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფართები მაღაზიების მოსაწყობად. საიჯარო ხელშეკრულება, როგორც წესი, გაფორმებულია 2 -დან 15 წლამდე ვადით და ზოგიერთ მათგანს აქვს გაგრძელების ვადა. კომპანია არ აფორმებს გაყიდვებისა და უკუიჯარის შეთანხმებებს. ყველა იჯარა შეთანხმებულია ინდივიდუალურად და შეიცავს მრავალფეროვან განსხვავებებს.

კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტი. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში იბეგრება მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ მიხედვით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. დაბეგვრის ეს მოდელი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზატორი პირებისა).

აღნიშნული მოდელის შესაბამისად, მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არ იბეგრებიან მოგების გადასახადით „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	წლიური ცვეთის ნორმა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7 წელი
მანქანა-დანადგარები	5-7 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად

ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოძწევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

წესდებით განსაზღვრული კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც განთავსებული კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გადაფასებული შენობა-ნაგებობებისთვის ხელახლა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და განსაზღვრა.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე

დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	მსუბუქი ავტომობილები	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 01.01.2023	424,731	5,493,498	193,119	823,496	331,639	128,029	396,536	7,791,049
შეძენა	193,565	965,509	94,233	267,227	118,475	16,990	104,047	1,760,046
გასვლა	-	(27,066)	(5,064)	-	(4,661)	(7,187)	-	(43,977)
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	618,297	6,431,942	282,288	1,090,723	445,452	137,832	500,583	9,507,118
შეძენა	230,148	387,167	105,191	5,247	-	17,164	61,148	806,066
გასვლა	(44,140)	(242,345)	(23,225)	(23,449)	(10,900)	(4,300)	(30,330)	(378,689)
ისტორიული ღირებულება 31.12.2024	804,305	6,576,763	364,254	1,072,522	434,553	150,697	531,401	9,934,495
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება								
ნაშთი 01.01.2023	(160,366)	(1,737,734)	(60,469)	(355,085)	(39,137)	(41,600)	(91,096)	(2,485,487)
ცვეთა	(63,763)	(910,536)	(28,540)	(135,737)	(81,913)	(11,351)	(57,817)	(1,289,659)
ჩამოწერა	623					14,853	5,375	20,852
აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 31.12.2023	(223,506)	(2,648,270)	(89,009)	(490,822)	(121,050)	(38,098)	(143,538)	(3,754,294)
ცვეთა	(105,153)	(873,669)	(47,832)	(124,339)	(64,088)	(22,411)	(61,283)	(1,298,775)
ჩამოწერა	28,611	80,952	15,044	20,330	3,313	1,873	7,764	157,887
აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 31.12.2024	(300,048)	(3,440,987)	(121,798)	(594,831)	(181,826)	(58,636)	(197,057)	(4,895,182)
საბალანსო 31.12.2023	410,701	3,738,804	218,606	589,555	323,507	104,925	366,819	5,752,916
საბალანსო ღირებულება 31.12.2024	504,257	3,135,777	242,456	477,691	252,727	92,061	334,344	5,039,314

5. გამოყენების უფლების მქონე აქტივები

	31.12.2024	31.12.2023
აქტივების გამოყენების უფლება	5,019,965	3,752,589
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(1,984,363)	(714,604)
<i>მათ შორის:</i>		
ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(1,984,363)	(714,604)
აქტივების გამოყენების უფლების მატება	21,898,295	2,641,243
აქტივების გამოყენების უფლების კლება	(510,599)	(659,263)
აქტივების გამოყენების უფლება წლის ბოლოს	24,423,298	5,019,965

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში	398,603	433,345
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	503,627	1,411,543
ფული გზაში	286,155	231,461
სულ	1,188,385	2,076,349

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას უფიქსირდება მოქმედი ანგარიშები შემდეგ 6 კომერციულ ბანკში - სს "ლიბერთი ბანკი", სს "ბაზისბანკი", სს "საქართველოს ბანკი", სს "პროკრედიტ ბანკი", სს "თიბისი ბანკი", სს "ტერა ბანკი". 2025 წლის აპრილში კომპანიამ დახურა კუთვნილი ანგარიშები ერთ კომერციულ ბანკში - სს "ბაზისბანკი".

7. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან	46,705	81,203
მოთხოვნები მომსახურების მიწოდებიდან	1,777,071	1,613,587
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	(18,605)	(116,002)
სულ	1,805,170	1,578,787

საეჭვო მოთხოვნების მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
რეზერვის საწყისი ნაშთი	116,002	239,706
რეზერვის ხარჯი	-	123,704
აღდგენა წლის განმავლობაში	97,397	-
რეზერვის საბოლოო ნაშთი	18,605	116,002

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მიმართულია ფიზიკურ პირებზე, რომლებიც წარმოადგენენ მის ძირითად მომხმარებელთა ჯგუფს. კომპანია ახორციელებს სხვადასხვა სახის საქონლის ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვას, რის შემდეგაც უზრუნველყოფს მის განაწილებას და რეალიზაციას. რეალიზაცია ხორციელდება როგორც დედაქალაქში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე მაღაზიათა ქსელის მეშვეობით.

8. გადახდილი ავანსები

	31.12.2024	31.12.2023
ავანსები ადგილობრივ მომწოდებლებზე	610,116	695,085
ავანსები არარეზიდენტ მომწოდებლებზე	77,146	47,711
სულ	687,262	742,796

გადახდილი ავანსები მოიცავს იმ თანხებს, რომლებიც კომპანიამ წინასწარ გადაუხადა მომწოდებლებს საქონლისა და მომსახურების მიღებისათვის. კომპანიას ჰყავს როგორც ადგილობრივი ასევე არარეზიდენტი მომწოდებლები. აღნიშნული ავანსები აღიარებულია როგორც მიმდინარე აქტივები, რადგან მათი გამოყენება ან ჩამოწერა მოსალოდნელია მომდევნო ანგარიშგებით პერიოდში. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის გადახდილი ავანსების ნაშთი შეადგენს 687,262 ლარს.

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
გასაყიდად გამიზნული საქონელი	9,595,045	11,271,318
სხვა მარაგები	15,996	26,866
სულ	9,611,041	11,298,184

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულება	18,969,259	20,072,095
ვალდებულება მომსახურების მიღებიდან	1,200,436	1,101,755
სხვა ვალდებულებები	949,325	441,171
სულ	21,119,020	21,615,021

კომპანიის ვალდებულებები წარმოდგენილია იმ კონტრაქტორების მიმართ, რომლისგანაც უკვე მიღებული აქვს, საქონელი და მომსახურება. აღნიშნული ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის შეადგენს 21,119,020 ლარს.

11. მიღებული სესხები

	31.12.2024	31.12.2023
მოკლევადიანი საბანკო სესხები უცხოურ ვალუტაში	1,254,814	1,408,344
მოკლევადიანი საბანკო სესხები ეროვნულ ვალუტაში	2,000,000	-
გრძელვადიანი საბანკო სესხები უცხოურ ვალუტაში	2,795,587	1,652,403
სულ	6,050,401	3,060,747

კომპანიას სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სგან და სს „პროგრედიტ ბანკისგან“ მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხები ევროში. კომპანიას ბანკისგან მიღებულ სესხებზე დადგენილი აქვს ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები. მათი დარღვევის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს საკრედიტო დავალიანების სრულად დაფარვა ან გაზარდოს წლიური საპროცენტო განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 3-5.5%-ს.

12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
გადასახდელი ხელფასები	545,179	599,669
მიღებული ავანსები	250,770	34,337
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	33,701	-
სულ	829,649	634,006

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის მოკლევადიან ვალდებულებებს. ზემოხსენებული ვალდებულებები დაიფარება ერთი წლის განმავლობაში. 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის ნაშთი შეადგენს 829,649 ლარს.

13. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	99,452,160	110,240,084
შემოსავალი მომსახურებიდან	502,534	2,884,086
სულ	99,954,694	113,124,170

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
რეალიზებული საქონლის ღირებულება	77,220,945	88,211,417
სულ	77,220,945	88,211,417

კომპანია რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულების ხარჯებში ასახვას ახორციელებს მარაგების ჩამოწერის „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

15. მიწოდების ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება მიწოდებაზე	11,616,256	12,465,073
კომუნალური ხარჯები მიწოდებაზე	2,513,277	2,520,804
გამოყენების უფლების მქონე აქტივების ამორტიზაცია	1,984,363	909,184
იჯარის ხარჯები	1,151,452	3,489,493
სამეურნეო ხარჯები მიწოდებაზე	718,248	761,014
ტერმინალის მომსახურების ხარჯები	614,109	656,953
საწვავის ხარჯები მიწოდებაზე	230,049	212,899
მარკეტინგული ხარჯები	152,266	287,243
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები მიწოდებაზე	135,885	122,762
საკომუნიკაციო ხარჯები მიწოდებაზე	92,524	89,500

დაცვის ხარჯები	85,013	75,995
სადაზღვევო ხარჯები მიწოდებაზე	59,179	62,811
რეკლამის ხარჯები	46,857	82,325
რემონტის ხარჯები მიწოდებაზე	674	14,888
მიწოდების სხვა ხარჯები	231,118	165,529
სულ	19,631,271	21,750,942

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	2,116,061	1,637,077
საბანკო ხარჯები	171,567	150,314
მივლინების ხარჯები	54,244	115,845
საგადასახადო ხარჯები	53,922	57,312
წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯები	33,051	33,898
საკონსულტაციო ხარჯები	28,877	25,446
კომპიუტერის ხარჯები	26,464	49,286
სამეურნეო ხარჯები	7,070	3,396
რემონტის ხარჯები	-	34,457
სხვა ხარჯები	117,546	232,783
სულ	2,608,802	2,339,815

17. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ცვეთის ხარჯები	1,236,071	1,289,659
ამორტიზაციის ხარჯები	39,748	29,138
სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ხარჯები	-	(123,704)
ინვენტარიზაციის შედეგად არსებული ზედმეტობა / (დანაკლისი)	1,508,370	1,628,591
სულ	2,784,188	2,823,684

18. ფინანსური ხარჯები

	2024	2023
საპროცენტო ხარჯები	278,237	148,711
გამოყენების უფლების მქონე აქტივების ფინანსური ხარჯები	2,391,248	656,958
სულ	2,669,485	805,669

19. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აზრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტიან მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,805,170	1,578,787
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,188,385	1,411,543
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	2,993,555	2,990,330

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო ან სხვა რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

ლიკვიდურობის რისკი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივი				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,805,170			1,805,170
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,188,385			1,188,385
სულ ფინანსური აქტივი	2,993,555			2,993,555
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,119,020			21,119,020
მიღებული სესხები	2,988,814	266,000	2,795,587	6,050,401
საიჯარო ვალდებულება		23,804,349		23,804,349
სულ ფინანსური ვალდებულებები	24,107,834			50,973,770
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(21,114,279)			(47,980,215)

ლიკვიდურობის რისკი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები:				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,578,787			1,578,787
ფული და ფულის ექვივალენტები	1,411,543			1,411,543
სულ ფინანსური აქტივი	2,990,330			2,990,330
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,615,021			21,615,021
მიღებული სესხები	1,408,344	1,652,403		3,060,747
საიჯარო ვალდებულება	441,171	188,641	4,772,812	5,402,624
სულ ფინანსური ვალდებულებები	23,464,536			30,078,392
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(20,474,206)			(27,088,062)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად იგარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

	31-12-24 ევრო ევრო 1 = 2.9306 GEL	31-12-24 დოლარი აშშ დოლარი 1 = 2.8068 GEL	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	18,533	159	18,692
აქტივები სულ	18,533	159	18,692
მიღებული სესხები	1,031,251		1,031,251
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	-
ღია სავალუტო პოზიცია	1,031,251	-	1,031,251
ნეტო შედეგი	1,012,718	159	1,012,559

კაპიტალის რისკ მენეჯმენტი

კაპიტალის რისკის მენეჯმენტი გულისხმობს იმ პროცედურებსა და პოლიტიკას, რომლის საშუალებითაც კომპანია უზრუნველყოფს საკუთარი კაპიტალის სტაბილურობას. მისი მიზანია, რომ კომპანიამ შეინარჩუნოს ჯანსაღი ფინანსური სტრუქტურა, დაიცვას ინტერესები აქციონერებისა და კრედიტორების მიმართ და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა. კაპიტალის რისკის მართვის ფარგლებში განისაზღვრება ოპტიმალური კაპიტალის დონე, ბალანსდება ვალისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა, დგინდება ლიმიტები, რათა შესაძლო ფინანსურმა რისკებმა არ დააზიანოს კომპანიის მდგრადობა.

	31.12.2024	31.12.2023
მთლიანი კაპიტალი	8,733,130	3,572,888
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	(1,188,385)	(1,411,543)
კაპიტალი	7,544,745	2,161,345
მთლიანი კაპიტალი	8,733,130	3,572,888
სესხები	6,050,401	3,060,747
სრული ფინანსირება	14,783,531	6,633,635
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.51	0.33

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

დაკავშირებული მხარე არის:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავეს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;

ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

	2024
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	32,046
მიღებული სესხები	266,000
გადასახდელი საპროცენტო ხარჯის ნაშთი	34,665
სულ ნაშთების დაკავშირებულ მხარეებთან	332,711
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2024
ხელფასის ხარჯი	266,561
საპროცენტო ხარჯი	23,800
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	290,361

21. გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანიას არ გააჩნდა სასამართლო დავა საერთო სასამართლოებში.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრიდან ამ ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

2025 წელს შპს „ზღაპარმა“ საქართველოს ბანკიდან აიღო სესხი 558,181 ლარის ოდენობით, ხოლო დაფარა 916,825 ლარის სესხი.

კომპანიამ 2025 წლის თებერვალში ახალი ფილიალი გახსნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარში, ხოლო ზესტაფონისა და მუხიანის ფილიალების საქმიანობა შეწყვიტა.

სხვა მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „ზღაპარი“-ს დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 10 ოქტომბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ.

შპს ზღაპარი

მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს „ზღაპარი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2007 წლის 21 სექტემბერს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია – 205222953. იურიდიული მისამართია – ქ. თბილისი, გლდანი-ნამალაძევის რაიონი, ბოჭორიშვილის ქ. №2. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები არიან:

- (01026005646) კონსტანტინე გელაშვილი - 26.67%
- (01015021395) ზურაბი არსენიძე, - 18.33%
- (01092001681) უზეირ ოზერ, /თურქეთი/ - 12.50%
- (01015015877) ლევანი ფიჩხაია, - 12.50%
- (01005002273) ნუნუ ლეჟავა - 3.33%
- (01016000857) გია არსენიძე - 26.67%

კომპანიის დირექტორი: თამარ უდესიანი (62004007193)

.

შპს „ზღაპარი“ 2024 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 46 მარკეტით. აქედან 30 თბილისში, ხოლო დანარჩენი 16 მარკეტი - საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

2024 წლის ბოლოსთვის კომპანიაში დასაქმებულია დაახლოებით 718-მდე თანამშრომელი.

კომპანიის საქმიანობა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო და საბითუმო ვაჭრობა, როგორც საკვები და სასმელი პროდუქტებით, ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და პირველადი მოხმარების პროდუქციით.

ფილიალების საქმიანობა

კომპანიის ფილიალების უმეტესობა მდებარეობს თბილისში, ასევე წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც. ფილიალები ძირითადად ფუნქციონირებენ სუპერმარკეტებისა და საცალო ქსელების სახით მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფენ ყოველდღიურ სასურსათო და საყოფაცხოვრებო პროდუქციას.

წესდებით განსაზღვრული კაპიტალი

კომპანიას წესდებით განსაზღვრული კაპიტალი არის 0 ლარი, რაც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით.

მმართველობითი სტრუქტურა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორები

კომპანიას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო.

აღმასრულებელი მენეჯერები, რომლებიც მონაწილეობენ დირექტორებთან ერთად გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

კომპანიის მმართველობითი სტრუქტურა შედგება შემდეგი დეპარტამენტებისგან:

- კომერციული დეპარტამენტი;
- საოპერაციო დეპარტამენტი;
- ფინანსური დეპარტამენტი;
- ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;

თითოეულ დეპარტამენტს ჰყავს მიმართულების ხელმძღვანელი, რომელიც ექვემდებარება დირექტორს.

საწარმოს მისია და საქმიანობის მიზანი

კომპანიის მისია არის ხარისხიანი და მრავალფეროვანი პროდუქციის, ასევე საუკეთესო მომსახურების შეთავაზება მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად.

საქმიანობის სახეები, ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტული მდგომარეობა ბაზრებზე საქმიანობის მიხედვით

კომპანიის ფილიალების უმეტესობა მდებარეობს თბილისში, ასევე წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც. კონკურენტებისგან გამოირჩევა როგორც ხელმისაწვდომი ფასებით, ასევე ფართო ასორტიმენტით, მაღალი ხარისხის პროდუქციით და მომსახურების მაღალი დონით.

ინფორმაცია შვილობილი და მეკავშირე საწარმოების შესახებ

საწარმოს არ ჰყავს შვილობილი კომპანიები. კომპანიას სხვა 6 კომპანიასთან ერთობლივად დაფუძნებული აქვს ა(ა)იპ „რითეილ ასოციაცია“.

პატენტებისა და სავაჭრო ნიშნების შესახებ

საწარმოს აქვს დაპატენტებული სავაჭრო ნიშანი „ზღაპარი“. გამოყენებული ფერები: ყვითელი და წითელი.

ბრენდების რეპუტაციისა და სიძლიერის შესახებ

კომპანია დაარსების დღიდან ზრუნავს იმაზე, რომ „ზღაპარი“-ს ბრენდი ყოველთვის ასოცირდებოდეს მაღალ ხარისხთან. ამის მისაღწევად და შემდეგ მიღწეულის შესანარჩუნებლად კომპანია საკმაოდ დიდ დროს და რესურსებს ხარჯავს.

აიტი-ტექნოლოგიების დანერგვის ხარისხის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოება და მათი გამართულად მუშაობა კომპანიისთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება. კომპანია მუდამ თანამშრომლობს ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტორულ კომპანიებთან რომლებიც ახდენენ კომპანიის ქსელის მონიტორინგს და რეკომენდაციების გაცემას, რომელსაც კომპანია ითვალისწინებს უსაფრთხოების მიზნით.

უსაფრთხოების (მათ შორის, კომერციული უსაფრთხოების) ზომების შესახებ

კომპანიას ჰყავს უსაფრთხოების და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ვიდეოკამერების საშუალებით ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს სავაჭრო დარბაზებზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ 1-ლი ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2024 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენდა (8,733,130)ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება 13,594,527 ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის - 29,682,271 ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2024 წელს - 99,954,694 ლარი შეადგინა, ხოლო 2023 წელს - 113,124,170 ლარი შეადგენდა.

2024 წლის სახელფასო ფონდმა 11,627,342 ლარი შეადგინა, ხოლო 2023 წელს - 12,465,073 ლარი.

საკადრო პოლიტიკის ძირითადი მომენტები და თანამშრომლებზე ზრუნვა/წახალისების პოლიტიკა, დაწესებული სოციალური შეღავათები

კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების მოტივაციასა თუ განვითარებაზე, რაც გამოიხატება შიდა გამოცდილი კადრების განვითარება-დაწინაურებით.

ასევე კომპანია უზრუნველყოფს ტრანსპორტით იმ ობიექტების თანამშრომლებს, სადაც ამის საჭიროება დგება.

საწარმოს მიმწოდებლების შესახებ

კომპანია თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ მიმწოდებლებთან, ასევე ახორციელებს იმპორტს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

საწარმოს მომხმარებლების შესახებ

კომპანია „ზღაპარი“ უკვე 17 წელია წარმატებით საქმიანობს ქართულ ბაზარზე და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული მომხმარებლის ერთგულებასა და დაკმაყოფილებას. მომხმარებელთა საჭიროებების უკეთ შესასწავლად კომპანია ყოველკვარტალურად ატარებს გამოკითხვებს, რომელთა შედეგების საფუძველზე შესაბამისი დეპარტამენტები ადგენენ სამოქმედო გეგმებს. კომპანიას შექმნილი აქვს საკუთარი ინტერნეტ-მაღაზია, რაც მომხმარებლებს დამატებით კომფორტს სთავაზობს. მომხმარებელთა მაღალი აქტივობისა და ერთგულების წასახალისებლად კომპანიამ დაწერა ლოიალობის პროგრამა – „ქისა“ ბარათი. ამ ბარათის მფლობელებს შეუძლიათ დააგროვონ მონეტები, რომლებიც შემდგომში პროდუქციის შესაძენად ან სხვადასხვა სააქციო შეთავაზებით სარგებლობისთვის გამოიყენება „ზღაპარი“-ს ფილიალებში.

გარდა ამისა, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით, კომპანია მუდმივად ახორციელებს მრავალფეროვან აქციებს – ორ კვირაში განახლება, სეზონურ, თემატურ და სადღესასწაულო კამპანიებს. ამგვარი შეთავაზებების ერთობლიობა კომპანიას საშუალებას აძლევს, შექმნას მომხმარებელზე მორგებული პროდუქტები და გაზარდოს მათ შორის კმაყოფილება და ნდობა.

საწარმოს მიერ გაწეული საქველმოქმედო ან/და გარემოსდაცვითი ხარჯების შესახებ

კომპანია იზიარებს თავის წილ სოციალურ პასუხისმგებლობას და მუდმივად ჩართულია სხვადასხვა სახის საქველმოქმედო პროცესებში. 2022 წელს კომპანია, „ზღაპარი“-სა და „კათარზის“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე 2022-2023 წწ უწყვეტ რეჟიმში აწვდიდა პროდუქციას „კათარზის“-ს, ხოლო 2023 წელს მემორანდუმი გააფორმა „ცხოვრების შანს“-თან რომელიც მიზნად ისახავდა „სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ახალგაზრდების პროფესიულ მხარდაჭერას და გაძლიერებას“ - აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის განხორციელებით კომპანია ზღაპარი გახდა საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის - „მელიორა 2024“-ის გამარჯვებული.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	12/31/2024	12/31/2023
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,188,385	2,076,349
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,805,170	1,578,787
გადახდილი ავანსები	687,262	742,796
მარაგები	9,611,041	11,298,184
სხვა მიმდინარე აქტივები	302,669	152,466
სულ მიმდინარე აქტივები	13,594,527	15,848,582
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5,039,314	5,752,917
არამატერიალური აქტივები	219,659	249,408
გამოყენების უფლების მქონე აქტივები	24,423,298	5,019,965
სულ გრძელვადიანი აქტივები	29,682,271	11,022,289
სულ აქტივები	43,276,798	26,870,871
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,119,020	21,615,021
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3,254,814	1,408,344
გადასახდელი გადასახადები	171,843	161,666
გადასახდელი პროცენტები	34,666	10,865
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	829,649	634,006
მიმდინარე ვალდებულებები სულ	25,409,992	23,829,903
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული გრძელვადიანი სესხები	2,795,587	1,652,403
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	23,804,349	4,961,453
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	26,599,936	6,613,856
სულ ვალდებულებები	52,009,928	30,443,759
კაპიტალი		
გაუნაწილებელი ზარალი	(8,733,130)	(3,572,888)
სულ კაპიტალი	(8,733,130)	(3,572,888)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	43,276,798	26,870,871

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024	2023
ამონაგები	99,954,694	113,124,170
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(77,220,945)	(88,211,417)
საერთო მოგება	22,733,749	24,912,754
მიწოდების ხარჯები	(19,631,271)	(21,916,471)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,608,802)	(2,387,259)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,784,188)	(2,823,684)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან	(2,290,512)	(2,214,660)
ფინანსური შემოსავალი	21,985	34,074
ფინანსური ხარჯები	(2,669,485)	(805,669)
მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(865)	(217,110)
სხვა არასაოპერაციო მოგება ზარალი	(221,365)	(407,031)
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	(2,869,730)	(1,395,736)
ზარალი დაბეგვრამდე	(5,160,242)	(3,610,397)
ზარალი დაბეგვრის შემდეგ	(5,160,242)	(3,610,397)
სულ საანგარიშო პერიოდის ზარალი	(5,160,242)	(3,610,397)

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	დაგროვილი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2022	37,509	37,509
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	(3,610,397)	(3,610,397)
წლის მთლიანი სრული ზარალი	(3,610,397)	(3,610,397)
31.12.2023	(3,572,888)	(3,572,888)
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	(5,160,242)	(5,160,242)
წლის მთლიანი სრული ზარალი	(5,160,242)	(5,160,242)
31.12.2024	(8,733,130)	(8,733,130)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	152,538,086	136,895,072
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	48,109
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(127,006,831)	(111,776,174)
საიჯარო ქირა საოპერაციო საქმიანობიდან	(1,151,452)	(4,615,661)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(13,370,840)	(11,035,378)
გადახდილი ტერმინალის ხარჯები	(614,109)	(656,953)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(920,619)	68,186
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(6,524,220)	(5,945,231)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(220,032)	(198,884)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	2,729,983	2,783,086
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(806,066)	(1,888,042)
მიღებული პროცენტები	-	34,064
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(806,066)	(1,853,977)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
საიჯარო ქირა საფინანსო საქმიანობიდან	(1,151,452)	(917,110)
სესხების აღება	4,379,239	1,627,735
სესხების დაფარვა	(1,610,779)	(1,243,964)
გადახდილი პროცენტები	(259,088)	(139,627)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	1,357,920	(672,967)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(17,103)	(36,959)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	3,264,734	219,183
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის:	(2,076,349)	1,857,166
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსათვის:	1,188,385	2,076,349

საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკები

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

საგადასახადო რისკები

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას, შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

სხვა რისკები, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს საწარმოს განვითარება და შემდგომი ფუნქციონირება, მათი მოსალოდნელობის ხარისხი

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე, რომელსაც შესაბამისი რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს

განვითარების გეგმები

კომპანიის დაარსების დღიდან ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო სავაჭრო ქსელის განვითარება და მართვა. კომპანიის სტრატეგია არის მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის პროდუქტების ხელმისაწვდომ ფასად შეთავაზება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 10 ოქტომბერს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

თამარ უდესიანი

დირექტორი
შპს „ზღაპარი“

სავალუტო რისკები

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

საგადასახადო რისკები

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას, შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

სხვა რისკები, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს საწარმოს განვითარება და შემდგომი ფუნქციონირება, მათი მოსალოდნელობის ხარისხი


კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე, რომლებსაც შესაბამისი რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს

განვითარების გეგმები

კომპანიის დაარსების დღიდან ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო სავაჭრო ქსელის განვითარება და მართვა. კომპანიის სტრატეგია არის მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის პროდუქტების ხელმისაწვდომ ფასად შეთავაზება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 10 ოქტომბერს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

თამარ უდესიანი



დირექტორი

შპს „ზღაპარი“